

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №9

2019 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე-ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე- ომარი მირზოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის)

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - 250 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -9, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 15,18 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.108) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 740.00 ლარით.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -9, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ფონის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ფონაში მდებარე 4,33 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.06.277) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 210.00 ლარით.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -9,წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

-4-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 33, 13 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.07.128 და 3,85 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.119) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1790.00 ლარით.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -9,წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

-5-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ. პატარაგორში მდებარე, 153385 კვ.მ და 31090 კვ.მ საძოვრების (ს/კ 54.09.52.004; ს/კ 54.09.60.001) სოფელ პატარაგორის მოსახლეობისათვის, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად, 15.33.ჰა მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვროს 750.00 ლარი, ხოლო 3.1 ჰა მიწის ნაკვეთისათვის - 150.00 ლარი.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -9,წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

ეკონომიკისა და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე

ო. მირზოშვილი

ომარი მირზოშვილი